EU Information and Documents Centre
PARLIAMENT OF GEORGIA

ევროპის ღროით

ევროკავშირის საინფორმაციო
და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველოს პარლამენტში

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

ნოემბერი 2010 №10 (22)

პრეზიდენტის ევროპული ყვირა

ევროპარლამენტმა უკვე მეორედ დაუთმო ტრიბუნა არაწევრი ქვეყნის ლიდერს, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. 23 ნოემბერს წარმოთქმულ სიტყვაში პრეზიდენტმა სააკაშვილმა ისაუბრა საქართველოს არჩევანის შესახებ, რომლის ერთადერთი გზა განვითარებულ, დემოკრატიულ ევროპულ ოჯახში ინტეგრირებაა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრეზიდენტის მიერ წამოყენებული სამშვიდობო ინიციატივა, რომლის თანახმადაც, "საქართველო არასდროს გამოიყენებს ძალას თავისი ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის აღსადგენად, ის გამოიყენებს მხოლოდ მშვიდობიან საშუალებებს მისი დეოკუპაციისა და გაერთიანებისათვის. მაშინაც კი, თუ რუსეთის ფედერაცია უარს იტყვის თავისი საოკუპაციო ჯარების გაყვანაზე."

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ „კონსტრუქციული უნილატერალიზმის" ეს ინიციატივა ადვილი არ არის იმ ქვეყნისათვის, რომელიც ნაწილობრივ ოკუპირებულია და ჰყავს 500 000 იძულებით გადაადგილებული პირი.

პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობასთან ერთად, ესაჭიროება თანადგომა მოლაპარაკების მაგიდასთან რუსეთის ლიდერების დაბრუნების საკითხში.

სააკაშვილის მიერ ევროპარლამენტში წარმოთქმულ სიტყვას ევროპელი პარტნიორებისგან უაღრესად დადებითი შეფასებები მოჰყვა. ევროპარლამენტარებმა პრეზიდენტს სიტყვა ექვსჯერ შეაწყვეტინეს. ევროპარლამენტის პრეზიდენტმა იერჟი ბუზეკმა სიტყვის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე სააკაშვილი დაახასიათა როგორც წინდახედული და მამაცი პოლიტიკოსი.

(სრულად პრეზიდენტის მიერ ევროპარლამენტში წარმოთქმულ სიტყვას შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ მისამართზე:
http://www.president.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=228&info_id=5858)

ევროკალენდარი

7 დეკემბერი

საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭოს სხდომა

(ბრიუსელი, ბელგია)

6 დეკემბერი

ევროჯგუფის (Euregroup) შეხვედრა ეკონომიკურ და მონეტარულ საკითხებთან დაკავშირებით.

(ბრიუსელი, ბელგია)

13 დეკემბერი

ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭოს შეხვედრა ორგანიზაციის ძირითადი პოლიტიკური მიმართულებების განსახილველად.

(ბრიუსელი, ბელგია)

13 – 16 დეკემბერი

ევროპარლამენტის კომიტეტების შეხვედრა და პლენარული სესია.

(სტრასბურგი, საფრანგეთი)

16 – 17 დეკემბერი

ევროპული საბჭოს შეხვედრა.

(ბრიუსელი, ბელგია)

საკონტაქტო ინფორმაცია:

ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
საქართველოს პარლამენტი, C კორპუსი, ოთახი 126
ტელ.: (995 32) 92 37 03
ელ. ფოსტა: euinfocentre@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
ტელ.:(995 32) 28 17 08; (995 32) 28 13 92
ფაქსი: (995 32) 28 13 49
ელ.ფოსტა: europa@parliament.ge

ნოემბრის დაიჯესტი

"ევროკავშირი საქართველოს ოკუპაციას არასდროს მიეგებება"

საგულისხმოა, რომ ტერმინი "ოკუპაცია" ევროკავშირის ლექსიკონში ოფიციალურად დამკვიდრდა.

"ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს უსაფრთხოებას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და საერთაშორისო საზოგადოებას მოვუწოდებთ იგივე გააკეთოს" - განაცხადა ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ მიხეილ სააკაშვილთან ბრიუსელში შეხვედრის შემდეგ.

მისივე თქმით, საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობა პროგრესულად ვითარდება.

საქართველომ რეადმისიის შესახებ შეთანხმებას ხელი მოაწერა

შეთანხმება განსაზღვრავს მონაწილე მხარეთა ვალდებულებებს და ადგენს პროცედურებს, თუ როგორ და როდის უნდა მოხდეს მათ ტერიტორიაზე არალეგალურად მყოფი პირების უკან დაბრუნება.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ, ევროკომისარმა საშინაო საქმეთა საკითხებში სესილია მალმსტორმმა და ბელგიის სახელმწიფო მდივანმა მიგრაციის საკითხებში მელქიორ ვატელეტიმ, რომლის ქვეყანაც ამჟამად ევროკავშირის თავმჯდომარეა.

ხელშეკრულება რეადმისიის შესახებ ევროპარლამენტსა და საქართველოს პარლამენტში რატიფიცირების შემდეგ ამოქმედდება.

ევროკავშირი ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ანგარიშის შესახებ განცხადებას აკეთებს

2010 წლის 23 ნოემბერს, ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის 1099-ე სხდომაზე განხილული იქნა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის, ტორბიორნ იაგლანდის მეორე კონსოლიდირებული მოხსენება საქართველოში კონფლიქტთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, რომ ევროსაბჭო აგრძელებს რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს მიერ ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას აღებული იმ ვალდებულებების მონიტორინგს, რომელიც უკავშირდება 2008 წლის აგვისტოს ომს და რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას. ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოხსენებაში განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების კუთხით არსებულ მდგომარეობაზე. აღსანიშნავია, რომ ევროსაბჭოს გენერალური მდივნის მოხსენება, საქართველოსთან ერთად, დადებითად შეაფასა ევროკავშირმაც. ევროკავშირის დელეგაციამ ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფოს სახელით გააკეთა განცხადება საქართველო-რუსეთის კონფლიქტის თაობაზე ევროსაბჭოს გენერალური მდივნის ანგარიშთან დაკავშირებით, სადაც კიდევ ერთხელ გამოხატა მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის მიმართ.

უფრო ვრცლად აღნიშნული ინფორმაცია იხილეთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე : http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=30&info_id=13109

ევროკავშირი სადამკვირვებლო მისია შეშფოთებას გამოთქვამს სამხრეთ ოსეთის აღმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ სადერკამაციო სამუშაოების ჩატარების თაობაზე

25 ნოემბერს მისიის სადამკვირვებლო ჯგუფმა სამხრეთ ოსეთიდან სამი სამოქალაქო პირი შენიშნა, რომლებიც სოფელ დიცის მახლობლად, ადმინისტრაციული საზღვის გასწვრივ, აზომვით სამუშაოებს ასრულებდნენ. აღნიშნულ პირებს რუსეთის და სამხრეთ ოსეთის შვიდი შეიარაღებული სამხედრო ახლდა.

მსგავსი აზომვითი სამუშაოები პირველად არ დაფიქსირებულა. მისიას გააჩნია მზარდი მინიშნება იმისა, რომ ეს არის საზღვრის ცალმხრივი დემარკაციის უფრო ფართო პოლიტიკის ნაწილი.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია შეშფოთებულია მოცემული "საზღვრის სადერმაკაციო სამუშაოების " გამო, რადგან ეს შეუთავსებელია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპთან, რასაც ევროკავშირი სრულად უჭერს მხარს.

ევროპა რეცესიას ამარცხებს

ევროპის ეკონომიკა კრიზისის შემდეგ მოსალოდნელზე სწრაფად ვითარდება. ევროპული კომპანიები მომავალი წლისთვის 600 000 ადამიანის დასაქმებას ვარაუდობენ. სექტორები, რომლებზეც ეკონომიკურმა კრიზისმა სერიოზული გავლენა იქონია, თავიანთ საწყის ეკონომიკურ პოზიციებს სწრაფად აღადგენენ, თუმცა ეს წინსვლა არ შეიმჩნევა სამშენებლო ინდუსტრიაში.

გერმანია, შვედეთი, პოლონეთი და ფინეთი თავიანთ საწყის ეკონომიკურ მდგომარეობას სწრაფად უბრუნდებიან, მაშინ, როდესაც საბერძნეთი, ირლანდია, ესპანეთი, რუმინეთი და ლატვია კვლავ იბრძვიან კრიზისისაგან თავის დასაღწევად.

შენგენის ზონა, ბულგარეთი და რუმინეთი

საფრანგეთს საჭიროდ მიაჩნია შენგენის ზონასთან რუმინეთისა და ბულგარეთის მიერთების პროცესის 2011 წლის ზაფხულამდე გადადება. ამის მიზეზად ფრანგი პოლიტიკოსები ამ ქვეყნებში არსებულ კორუფციას ასახელებენ. გარდა ამისა, პრობლემად რჩება მოლდოვასთან არსებული საზღვარი, რომელიც, ფრანგების აზრით, უკეთეს მეთვალყურეობას საჭიროებს. ბულგარეთი და რუმინეთი ევროკავშირს 2007 წელს შეუერთდნენ.

გახდება თუ არა ხორვატია 28-ე?

9 კანდიდატ ქვეყანას შორის ევროკავშირში გაწევრიანების ყველაზე მეტი შანსი ხორვატიას აქვს. ამ საკითხზე დამატებითი მოლაპარაკებები 2011 წლის პირველი ნახევრისთვის დასრულდება.

სავარაუდოდ, ხორვატია იქნება პირველი ქვეყანა, რომელიც 2007 წელს, რუმინეთისა და ბულგარეთის შემდეგ, ევროკავშირს შეუერთდება. ევროკავშირის გაფართოებასა და სამეზობლო პოლიტიკაზე პასუხისმგებელმა ევროკომისარმა სტეფან ფულემ განაცხადა, რომ გარანტიების მიცემა შეუძლებელია - „მაგრამ არსებულ პროცესს პროგრესული ნაბიჯი დააჩქარებს."

გამოყენებული წყაროები:
www.euractiv.com; www.euobserver.com;
www.europeanvoice.com

საქართველო ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობისათვის ემზადება

25 ნოემბერს საქართველოს პრემიერ მინისტრის მრჩევლებმა საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს მოახსენეს ინფორმაცია ევროკავშირთან საქართველოს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მომზადების თაობაზე.

საგარეო ურთიერთობათა საკითხებში პრემიერ მინისტრის მრჩეველთა ჯგუფის უფროსის, თამარ კოვზირიძისა და პრემიერის მმართველობისა და ეკონომიკურ საკითხებში მთავარი მრჩევლის, ვახტანგ ლეჟავას განცხადებით, მოლაპარაკებები შესაძლოა 2011 წლის პირველ ნახევარში დაიწყოს.

ევროკავშირმა 2009 წლის მარტში მოლაპარაკებების წინაპირობად საქართველოსთვის რეკომენდაციები შეიმუშავა. რეკომენდაციები 4 ძირითად მიმართულებას მოიცავს: ვაჭრობის ტექნიკური ბარიერები, სურსათის უვნებლობა, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა და კონკურენციის სფერო. თამარ კოვზირიძის განცხადებით, სურსათის უვნებლობისა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროებში საკანონმდებლო პაკეტის დიდი ნაწილი უკვე შემუშავებულია, ხოლო დარჩენილი ნაწილი პარლამენტს 2011 წლის დასაწყისში წარედგინება.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით დარჩიაშვილმა მომხსენებლებს კომიტეტის მიერ მომზადებული შეკითხვები და რეკომენდაციები გააცნო. მისი განცხადებით, კომიტეტი აქტიურად არის ჩართული აღნიშნულ პროცესში და სურვილი გამოთქვა, რომ საკანონმდებლო პაკეტის პარლამენტში შემოსვლამდე ინფორმაცია კომიტეტს წინასწარ მიეწოდოს. დარჩიაშვილმა სასურველად მიიჩნია, რომ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის პროექტში ჩართულმა ჯგუფმა, საზოგადოებას გააცნოს უკვე მიღებული და დამტკიცებული სტრატეგიები.

ევროსტატისტიკა

ევროკავშირის თემაზე გამოცემული უახლესი ლიტერატურა

"European, American and Chinese perspectives on mediation"
გამომცემელი: MAKLU-PUBLISHERS
ავტორი: Association For International Arbitration (ed)
ენა: ინგლისური. 2010

"The Ultimate Test Book 2010"
გამომცემელი: John Harper Publishing
ავტორი: Andras Baneth
ენა: ინგლისური. 2010

"The Ultimate Test Book – Assistant (AST) Edition 2011"
გამომცემელი: John Harper Publishing
ავტორი: Andras Baneth
ენა: ინგლისური. 2010

"Combined package: Essential EU Law in Charts & Text"
გამომცემელი: HVG-ORAC Publishing House Ltd
ავტორი: Christa Tobler and Jasques Beglinger
ენა: ინგლისური. 2010

წიგნების ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ:
http://eubookshop.com/1







ევროსტატისტიკა

ევროპელთა აზრი ევროკავშირის მოქალაქეობის შესახებ

გასულ თვეს ევროკავშირის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრმა გამოაქვეყნა მონაცემები ევროკავშირის მოქალაქეობისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების შესახებ.

როგორც ცნობილია, ევროკავშირის მოქალაქის ცნება მაასტრიხტის ხელშეკრულებით 1992 წლიდან დამკვიდრდა. ამ სტატუსის შემოღების ძირითადი მიზანია ევროპული იდენტურობის გაძლიერება და ევროინტეგრაციულ პროცესებში მოსახლეობის აქტიური ჩართვა. ევროკავშირის წევრი ქვეყნის ყოველი მოქალაქე ამავდროულად ევროკავშირის მოქალაქე ხდება. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მიზნად ისახავდა, იმის გარკვევას თუ რამდენად კარგად იცნობენ ევროპელები ევროკავშირის მოქალაქის უფლებებს.

გაირკვა, რომ გამოკითხულთა 79%-ი იცნობს "ევროკავშირის მოქალაქის" სტატუსს. მოქალაქეობის მნიშვნელობაზე მხოლოდ 43%-ს აქვს გარკვეული ინფორმაცია, ხოლო 32%-მა აღნიშნა, რომ კარგად იცის თავისი, როგორც ევროკავშირის მოქალაქის უფლება-მოვალეობები. გამოკითხულთა 22%-ს არასოდეს სმენია მსგავსი ტერმინის შესახებ. ამ უკანასკნელთა რიცხვს ძირითადად 55 წელს ზემოთ (24%), დაბალი განათლების მქონე (28%) ან რეგიონში მცხოვრები (25%) მოქალაქეები განეკუთვნებიან.

გამოკითხულებმა ყველაზე კარგად იმ უფლებების შესახებ იციან, რომლებიც თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის საკითხებს ეხება. კერძოდ, 89%-მა აღნიშნა, რომ მათ უფლება აქვთ ნებისმიერ წევრ ქვეყანაში ხანგრძლივად იცხოვრონ. 85%-ი მიიჩნევს, რომ ნებისმიერ წევრ ქვეყანაში შეუძლია ხელისუფლებისგან ისეთივე მხარდაჭერა მიიღოს, როგორსაც ადგილობრივი მოქალაქეები იღებენ. რესპოდენტთა 65%-ის აზრით, ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში 5 წლის ცხოვრების შემდეგ მათ ამ ქვეყნის მოქალაქეობის მიღება მოითხოვნა შეუძლიათ. 79%-ს მიაჩნია, რომ ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში ყოფნისას, თუ იქ მისი მშობლიური ქვეყნის წარმომადგენლობა არ არის, დახმარებისთვის ნებისმიერი წევრი ქვეყნის საელჩოს შეუძლია მიმართოს და საჭირო მომსახურება მიიღოს. გამოკითხვის შედეგები, გასული წლების გამოკითხვების შედეგების მსგავსია.

ევრო პაიჭრა

ვაგრძელებთ დაიჯესტის წინა ნომრებში (იხ. "ევროპის დროით" 2010 წლის N1, N2, N3, N4, N9,N10) დაწყებულ რუბრიკას — "განათლება ევროპაში" და გაწვდით ინფორმაციას სასწავლო სტიპენდიის შესახებ

ერასმუს მუნდუსის სამაგისტრო პროგრამა სტრატეგიული პროექტის მენეჯმენტში

ერასმუს მუნდუსის სამაგისტრო პროგრამა სტრატეგიული პროექტის მენეჯმენტში ითვალისწინებს კურსდამთავრებული სტუდენტებისათვის მაგისტრის სამმაგი ხარისხის მინიჭებას დიდი ბრიტანეთის ედინბურგის ჰერიოტ — უოტის, იტალიის მილანის პოლიტექნიკურ და შვედეთის უმეას უნივერსიტეტებში.
პროგრამის ხანგრძლივობაა 16 თვე.

პროგრამის მონაწილე თითოეული კანდიდატისათვის სავალდებულოა ინგლისური ენის სრულფასოვანი ცოდნა (TOEFL ტესტი - მინიმუმ 600 ქულა, ინტერნეტ-ტესტი – მინიმუმ 100 ქულა, კომპიუტერული ტესტი – მინიმუმ 250 ქულა ან მინიმუმ 6.0 ქულა ILTS შეფასებით, თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში სტუდენტებმა უნდა გაიარონ ინგლისური ენის შემსწავლელი წინასწარი კურსი დიდი ბრიტანეთის ედინბურგის ჰერიოტ-უოტის უნივერსიტეტში).

განაცხადების გაგზავნის ბოლო ვადაა 2010 წლის 31 დეკემბერი.

უეიდენფილდის სტიპენდიებისა და ლიდერობის პროგრამა

უეიდენფილდის (Weidenfeld) სტიპენდიებისა და ლიდერობის პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სადოქტორო სტიპენდიებს 2011-2012 სასწავლო წლისათვის.
პროგრამა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: პოლიტიკური ფილოსოფია, ლიდერობის პოტენციალის განვითარება, კონფლიქტების დარეგულირების მენეჯმენტი, საჯარო პოლიტიკა, სამედიცინო მეცნიერებები და ა.შ.
დაინტერესებული კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ მაგისტრის ხარისხი პროგრამით გათვალისწინებულ სპეციალობებში. სავალდებულოა ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა.
კანდიდატები წინასწარ ჩარიცხულნი უნდა იყვნენ ოქსფორდის უნივერსიტეტში მათთავის სასურველ სპეციალობაზე.
კონკურსის შედეგად შერჩეულ კანდიდატებს დაუკავშირდებიან 2011 წლის მაისის დასაწყისში.
ფილოსოფიურ და სამედიცნო მეცნიერებეთა სპეციალობების სტუდენტებისათვის **განაცხადების გაგზავნის ბოლო ვადაა 2011 წლის 7 იანვარი**, ხოლო დანარჩენ სპეციალობათა სტუდენტებისათვის – **2011 წლის 21 იანვარი.**

ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო სტიპენდიების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ შემდეგი ვებგვერდი www.iliauni.edu.ge ან მიმართეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ სერვის ცენტრს – თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N32, ოთახი N219-220, ტელ.: (832) 29 47 11.

რაცომ გვინდა ევროკავშირში ინტეგრაცია?

თამარ თოლორდავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი

"ჩემი აზრით, საქართველოსთვის არსებითად მნიშვნელოვანია ევროკავშირში გაწევრიანება, რადგან ეს არის ჩვენი ქვეყნის სტაბილურობის, უსაფრთხოების და ეკონომიკური განვითარების გარანტი."

ნანა ბერუაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული სპეციალობა–ევროპისმცოდნეობა

"ევროკავშირი არის სიმბოლო იმისა, თუ როგორ უნდა ჩაანაცვლოს ურთიერთთანამშრომლობაზე და ორმხრივ სარგებელზე დაფუძნებულმა მეგობრობამ ქვეყნებს შორის ომები და ქაოსი. საქართველოს ევროპული არჩევანი არის ჩვენი ამბიციური განაცხადი ვიყოთ დასავლური, წარმატებული, განვითარებული ქვეყნების ოჯახის ღირებულებების ღირსეული გამზიარებელი. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ჩვენი მოსახლეობისთვის ცხოვრების უკეთესი პირობების შეთავაზებას."

euinfocentre@parliament.ge

FM 102.4 "ევროპის დროით ირინა ცერცვაძესთან ერთად."

ყოველ შაბათს უსმინეთ გადაცემას **" ევროპის დროით ირინა ცერცვაძესთან ერთად "** საქართველოს რადიოს პირველი არხი

კონრად ადენაუერის ფონდის დაფინანსებით **"ევროპის დროით"** იბეჭდება საქართველოს 4 რეგიონულ გაზეთში

Konrad Adenauer Stiftung
Regionalprogramm Politischer Dialog Südkaukasus

ნომერზე მუშაობდნენ: თეა ცარიელაშვილი, ირინა ცერცვაძე, თამარ ჭელიძე, ქეთევან გუნიავა.

"ევროპის დროით" ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ვებ–გვერდზე: www.eu-committee.ge